

ნახ. გ. თოდბისა

შეშვრლი

ინგლისიდან საომარი მდგომარეობის გამო კანადაში გადაყვანილ ბავშვები.
გაზეთებიდან

27/11
5
364
40



კომუნისტი ქუქი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„გულჩვილობა და ღმობიერება სამოსამართლო ორგანოებისა, ხელსაყრელია წარმოების პირწავარდნილი დეზორგანიზატორებისათვის.“
„პრავდა“, 11/VIII—1940 წ.

სასამართლოს წინაშე სდგას თმახუჭუჭა ახალგაზრდა. ერთი შეხედვით, მისი თმა მართლა ხუჭუჭი გვეგონებათ, მაგრამ ცოტათი რომ დაუკვირდებით, აღვილად შეამჩნევთ, რომ ზემოხსენებული თმა ძირითადად აბურძგვნილი და გაწეწილია; სჩანს, ამ დილით მას სავარცხელი არ მიჰკარებია.

ამ ყმაწვილს დაგვიანებისათვის ასამართლებენ.

— ბრალდებულო, მოახსენეთ სასამართლოს, რა პირობებში მოხდა თქვენი დაგვიანება?—ეკითხება მოსამართლე.

— სულ უბრალო ამბავია.—მხიარულად უპასუხებს ბრალდებულო, —ქორწილში ვიყავი დაპატიჟებული.

— ქორწილში?

— დიახ. ჩემმა მამიდაშვილმა ცოლი შეირთო, ქალი მე თვითონ გამოვურჩიე. ახლა გეკითხებით, ამხანაგო მოსამართლე, შემძლო ღვიძლი მამიდაშვილის ქორწილს დავკლებოდი?

— მართალია არ შეგეძლო, მაგრამ სამუშაოზე ორჯერ უნდა გამოცხადებულიყავი.

— თავისთავად ცხადია, ამხანაგო მოსამართლე! მე არ გამტყუნებთ, რომ მაგას მეუბნებით. მაგრამ ახლა გეკითხებით: როცა თამადას სადღეგრძელოები არ მოუთავებია, შემძლია თუ არა მე ავდგე და დემონსტრაციულად დავტოვო კამპანია?

— არ შეგიძლია.

— ჰო და, იქნებოდა დილის რვა საათი, როცა თამადამ მაყრების სადღეგრძელო დალია. სანამ ალავერდს ჩემთან მოვიდოდა უკვე ცხრა გახდა... მართალია, მე ჩქარა დავლიე და მაშინვე გადავეცი ყანწი, მაგრამ...

— რა მაგრამ? რაღა მაგრამ? ვერ ადექი და ვერ წამოხვედი?

— რას წამოხვალ ამხანაგო მოსამართლე, როცა საყოვლადწმინდა დასალევია? შეიძლება ამ პირობებში წამოსვლა?

თავმჯდომარე ერთ წუთს დაფიქრდა, მაგრამ მაშინვე ნახა გამოსავალი:

— მაინც ვერ გაიმართლებ თავს: ხელად დავლევდი საყოვლადწმინდოს და წამოვიდოდი.

— კარგი, დავლიე საყოვლადწმინდო, —დაეთანხმა ბრალდებული, —ახლა ასაშენებელს რას უშვებთ?

— იმასაც მივაცოლებდი და გამოვიქცეოდი.

— ბატონი ბრძანდებით. ახლა დასამშვენებელი?

— დასამშვენებელსაც დავლევდი და ჰაიდა!...

— გენაცვალე სულში! მეც სწორედ ასე მოვიქეცი და სამუშაოზე გამოვიქეცი. მე არ მახსოვს რომელ საათზე მოვედი, მაგრამ ამტკიცებენ, რომ ორი საათით დავიგვიანე... და ეს ხდება როდის? როცა მე სამსახურის გულისთვის ვტოვებ შესანიშნავ კამპანიას, მამიდაშვილს, პატარძალს, თამადას, ღვინოს!..

— რა ღვინო იყო?—ეკითხება დამცველი.

— ღვინო თეთრი, ნამდვილი კახური... იმას დატოვებდა კაცი რომ მომაგონდებოდა, ახლაც ნერწყვი მომდის პირში...

— კარგი, ნუ წუწუნებ!—აწყვეტინებს მოსამართლე, — შენი ბედი, რომ ქორწილის გამო დაიგვიანე, თორემ ღვინის ხარისხის გულისთვის, თუნდაც შამპანური ყოფილიყო, არ გაპატიებდი... ახლა წადი და მეორეჯერ აღარ გაბედო! შემდეგი ბრალდებული!

მხიარული მსჯავრდადებული თავს უკრავს ალერსიან მოსამართლეს და მიდის... „საპახმელიოდ“.

— : —

— ბრალდებულო, მოახსენეთ სასამართლოს, რატომ დაიგვიანეთ სამსახურში?

— მე საპატიო მოტივი მაქვს, ამხანაგო მოსამართლე!

— წარმოადგინეთ.

— მოტივი ესაა, ამხანაგო მოსამართლე: ბებიაჩემი გახდა მძიმე ავად და ექიმებთან დავრბოდი.

— რა დამართა ბიჭო, ბებიაშენს?

— ყვიანა ხველა აქვს, ამხანაგო მოსამართლე.

— უჰ, საწყალი! სიცხე დიდი აქვს?

— ორმოცდაერთი, ამხანაგო მოსამართლე. დღეში ნახევარი ტონა ყინული სჭირდება შუბლზე. წამლები და ექიმები სხვაა.

— კაი ხარჯი გქონია შენ. დიდი ხნისაა?

— აჰ, ოთხმოცდაშვიდის არც კია ჯერ. ესტრადის კონცერტზე იყო და ყურის ანთება დამართა. ხომ იცით, იქ რა ყვირილია...

— აკი ყვიანა ხველაა?

— დიახ... ესე იგი, ყურის ბარაბანის დაზიანებამ რევმატიზმი გამოიწვია, რევმატიზმი გულის მანკზე გადავიდა, გულის მანკი აპენდიციტად გადაიქცა, აპენდიციტიდან კი, ხომ იცით, ორი ნაბიჯია ყვიანა ციებ-ცხელებამდე...

— სამწუხაროა, სამწუხარო, —თავის ქნევით ამბობს მოსამართლე, —წადი, წადი, მიხედე... ჰო, მართლა, თუ ღმერთმა ჰქნა და მორჩა ან გარდაიცვალა, მერე სამსახურსაც მიხედე. ბებიას პატივისცემა უნდა, მაგრამ სამსახურიც არ უნდა დაგაფრყდეს. ასეა, ჩემო ძმაო...

ავადმყოფის პატრონი ნელი ნაბიჯით სტოვებს დარბაზს.

— : —

— თქვენ ბრალად გედებათ სამუშაოზე დაგვიანება.

— მაგაშიც მე ვარ დამნაშავე?—გაკვირვებით კითხულობს შემდეგი მოპასუხე.

— ერთი ამას უყურეთ! აბა მე ვარ?—თავის მხრივ უკვირს მოსამართლესაც.

— კაცო, მე მკემეს, მე თავი გამიტჩენს, მე მილიციაშიც წამიყვანეს, მე შემეშახვა უსიამოვნება: დირექტორისაგან სასტიკი საყვედური მივიღე და ისევ მე ვარ დამნაშავე?

— კარგი, კარგი, მოგვახსენე.

— რა ბევრი მოგახსენოთ, ამხანაგო მოსამართლე, —წინაღობით საღამოს ლუღხანაში ვიყავით.

— ცივი იყო ლუდი?

— როგორც ყინული... ლუღხანიდან რესტორანში წავედით და არყები ვსვით...

— ეგ კი მეტის-მეტია!

— მეც მაგას ვამტკიცებდი, მაგრამ არ დამიჯერეს. ჰოდა, იქ ვილატაები იყვნენ. ერთმა მათგანმა მე საუბარი დამიწყო, მეც ტკბილად გავემასლაათე და მეგობრულად ლუდის ბოთლი დავადე თავზე. იგი წაიქცა და ყვრილი დაიწყო: თავი გამიტჩებო...

— აღმაშფოთებელია. ბოთლი კი არ დაგიდვიათ, არამედ დაგიტყამთ!

— თქვენც არ მომიკვდეთ, ამხანაგო მოსამართლე, —სულ ნელა დავადე თავზე, ისე, ალერსით... სიყვარულობით!..

— კარგი სიყვარულია, თქვენმა მშემ.

— გაძლევთ სიტყვას... მე, ცხადია, დავიწყე მტკიცება, რომ მას ალბად თავი გატეხილი ჰქონდა და მე ცილს მწამებს მეთქი... ჰოდა, იმის მაგიერად, რომ ცილისწამებისათვის ბოდიში მოეხადა, წამოვარდა ფეხზე, სტაცა ბოთლს ხელი და ისეთი მღრუხა თავში, რომ...


— ვაცხონე მისი მამის სული! კარგი უქნია! გასაგებია, —მრისხანედ ამბობს მოსამართლე, —ნათელია ყველაფერი. ეს არის ლოთობა, ხულიგნობა, ისევ ლოთობა და ამის შედეგად—გაცდენა. თქვენ მიიღებთ ღირსეულ სასჯელს! კმარა, რაც გილოლიავეთ! ისეთ განაჩენს გამოგიტან, რომ ჰკუთასწავლოს! ბედი დაგაწყველინოს!

ბრალდებული ფითრდება. შემდეგ წითლდება. შემდეგ ლურჯდება. მოსამართლეს გამოაქვს განაჩენი:

— მიესაჯოს შრომა-გასწორებითი მუშაობა ერთი თვით—პირობით!

მიწასთან გასწორებულ მისჯილს გულიმისდის და იქვე ჩაიკეცება (უსათუოდ სიხარულისაგან)...

მრისხანე, გულქვა მოსამართლე კი გადის და სახლში მიდის, რომ დაისვენოს. მას აზრადაც კი არ მოსდის, რომ ასეთი განაჩენებისათვის დღეს თუ ხვალ თვითონ წარსდგება სასამართლოს წინაშე.



— რაც შეეხება დათრობას და დაგვიანებას, ეს ბაშუსტა, მაგრამ საყვედურზე მე რა შუაში ვარ, საყვედური აღმინისტრაციამ გამომიტანა...

რას აკეთებთ, რასა უპასუხებთ?!

დაწესებულებათა ხელმძღვანელები და სასამართლო ორგანოები ხშირად მფარველობენ გაცდენებს და წუნის გამომწვევლებს და „სხვადასხვა მიზეზების მოყვანით ახერხებენ სასამართლო პასუხისმგებლისაგან მათ გადაარჩენას“.

(ამხ. კ. ჩარკვიანის მოხსენებიდან საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. აქტივის კრებაზე).

ქარხანაში ხინთიბიძემ ნიკომ წუნი გააკეთა, წუნთა შორის უცუდესი მნახველები დააფეთა.

ფეხსაცმელი გააკეთა — პირი ჰქონდა დაგლეჯილი, ცხვირს ნახავდით, იფიქრებდით ძალღია კბილდაღრეჯილი.

ცალს — საპირეთ, ვით წესია, ჩინებული ჰქონდა ტყავი, მეორეს კი — კალენკორი... იყო უცხო სანახავი!

გაფრთხილეს: „წუნს რომ უშვებ, რა განზრახვით, რა საბუთით? ხომ იცი, რომ მაგ საქმისთვის არ ავცდება წელი ხუთი“.

უპასუხა: „ამცილდება სასამართლოს განაჩენი, რადგან ქარხნის დირექტორად კონდრატია, — ბიჭი ჩვენი“.

პეტრემ შკაფი გააკეთა უცნაური, საფრთხივით, დაგრეხილი, დაფლეთილი, გააკვირვა ამით ყველა.

ცალი კარი მოკლე ჰქონდა, ცალი ჰქონდა მომტვრეული, თათქარისის ჭიშკარივით მოზრდილი და მონგრეული.

გაფრთხილეს: „წუნს რომ უშვებ, რა განზრახვით, რა საბუთით? დიხსომე: მაგ საქმისთვის არ ავცდება წელი ხუთი“.

საპასუხოდ — პეტრე ბიჭმა გაიღიმა უღვაწებში, თქვა: „მთის თავზე ჭექა-ქუხილს მუდამ არ სდევს წვიმა მთებში“.

სხვისთვის წვიმდეს... მე კი ვიცი ამცილდება განაჩენი, რადგან ქარხნის დირექტორად ბაგრატია — ბიჭი ჩვენი.

დილის სიო დანავარდობს, ოქროს სხივი ცაზე დნება, მოსამართლეს მოჯდომია მდივანი და ეუბნება:

— რა ზღაპრული სურათია ეს მიდამო... ნახი დილა... ჰო... გუშინწინ ჩვენმა ანდრომ სამუშაო გააცდინა.

სამი დღის წინ სულ არ იყო... — მერე სახლში ვეღარ ნახე? იქნებ კუჭის კატარი აქვს, ექიმს რად არ დაუძახე?

— რა კატარი?! — ფოლადს გაკენეტს, თავს ისე გრძნობს, როგორც რკინა, არც ექიმის ნახვა უნდა, არც ჭირდება ქინაქინა.

რა ვუყო, რომ იმ ანდროზე „საქმე“ შექნას პროკურორმა? — შეადგინოს!... საქმეს მოვსობ. არ მეშლება მაგის ფორმა.

დილის სიო კვლავ ნავარდობს ოქროს სხივი ცაზე დნება, მოსამართლეს კობტა ქალი ხმა-მინაბვით ეუბნება:

„ერთი რამე საიდუმლო მინდო გითხრა, მსურს გაგანდო, სამი დღეა სამსახურში არ მოსულა ჩვენი ნატო.“

დასვენების წინდლით იგი აგარაკზე გაიბარა „შეიძლება დავგვიანდო“ — საიდუმლოდ დამიბარა...

მხოლოდ ახლა ჩამოვიდა... არ წასულა სამსახურში... რა მოვიღის? რით უშველი?.. ჩამჩურჩულე ჩუმად ყურში.

მეგობრობა ეს იქნება!... არ მსურს ისე განშორება... შენს ხელშია მისგან კაცხის ზარბაზნის აშორება!...

... და შედეგად ამ საუბრის თავს კარგად გრძნობს „ჩვენი“ ნატო, ცა ქუდად აქვს, მიწა ხამლად, ეცილება ეშხით მნათობს.

მოსამართლეს — ჩვენსა პეტრეს, დასტრიალებს ფიქრთა კრება... ცის გუმბათი მოწმენდილა, ვარდი ეშხით იკოკრება.

დანავარდობს სიო დილის, ცაზე დნება ოქროს სხივი, მოსამართლის კაბინეტში ხმა შრიალობს ნიავეით.

„ჩვენი პავლე...“ „ჩვენი პეტრე...“ „ჩვენი საქო“, „ჩვენი თიკო“, „ვასოს ტყვილა აბრალებენ...“ „ეპრაქსია ავად იყო...“


თუმც ექიმის ცნობა არ აქვს, შენც ხომ იცი, რა ნახია, როგორც სიო შეუბერავს... მის შერცხვენა ლამაზია?...“

ეს!.. როდესაც „ჩვენთა“ სიას მე დღეს თვალი გადავავლე, დავრწმუნდი, რომ ქვეყნის ძალას ზიანს აძლევს „ჩვენი“, პავლე, —

„ჩვენი“ ანდრო, „ჩვენი“ მიხო, „ჩვენი“ თეკლე, მაკო „ჩვენი“, მაგრამ მათზე უფრო მეტად „ჩვენი პეტრეს“ განაჩენი.

გეჟანი

საბჭოთა
გაზეთი



18 აპრილს

ყვანი: — სისულელე და მებარათა: ამ დღეს პავლანის დანიშვნა შეიძლებოდა? რა გააწევს იქამდე. ვინ იცის რა მოუთმენ-
ლად მიმელის ჩემი ხრანჩიკო!

ანტიფერაზი



სწორედ გვრიტივით ქალი გახლდათ გვრიტიშვილის მეუღლე მერი.

მამაკაცებს ძლიერ მოსწონდათ მისი მხიარული სახე და მიმზიდველი უბრალოება. მერი ყველას თავაზიანად და ალერსით ექცეოდა. მამაკაცებისაგან კომპლიმენტების მოსმენასაც არ ერიდებოდა, პირიქით კიდევ ახალისებდა მთარაზიყეებს თავისი გულიანი კისკისით.

მას უყვარდა წესიერ საზოგადოებაში დასაშვები ხუმრობა, გართობა, მაგრამ წრეს გადასვლა კი არა სჩვეოდა.

დოცენტ ანეპოდისტე ბრევიშვილს, ქალთა საკითხში, რეალური პოლიტიკის მომხრეს ეძახდნენ. თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, — ამხანაგები დასცილდნენ: მისი პოლიტიკა მუდამ კრაზით მთავრდებოდა.

ანეპოდისტემ ერთ თავის ნათესავის ოჯახში გაიწია მერი.

დოცენტს თვალში მოუვიდა მერის მიმზიდველი სახე და მოხდენილი ტანი გადასწვრიტა შეტევაზე გადასულიყო. დაიწყო კომპლიმენტებით.

მერის წინააღმდეგ გაეგონა ბრევიშვილის შესახებ: ქალებთან უცნაური და სასაცილო ქცევა აქვს. ამიტომ განსაკუთრებით ყურადღებით ისმენდა მის ბლაგვ კომპლიმენტებს და ჩვეულებრივ კისკისებდა კიდევ.

დოცენტს თავის კომპლიმენტების ძალაზე დიდი წარმოდგენა ჰქონდა საერთოდ და ახლა, როცა ასეთი გულიანი სიტყვილი გამოიწვია მისმა ენამახვილობამ, საესვებით დარწმუნდა, რომ ქალი უკვე მოხიბლული იყო.

ახლა უფრო გაბედული ნაბიჯების გადადგმა იყო საჭირო. დოცენტმა მერი ფოქსტროტის საცეკვაოდ გაიწვია. რამდენჯერმე იცეკვეს ერთად.

შინ წასვლისას ანეპოდისტემ წინადადება მისცა: მე გაგაცილებ, მაინც ერთი გზა გვაქვს.

ქალმა უარი აღარ აკადრა ახალგაზრდა სწავლულ კაცს.

რომ ქალის თვალში ავტორიტეტი მოეპოვებია, გზაში დოცენტმა ჯერ თავის ახალ შრომის შესახებ ჩამოაგდო ლაპარაკი, შემდეგ განზრახული ჰქონდა სიყვარულის ახსნაზე გადასულიყო, მაგრამ ამ თემაზე ლაპარაკმა ისე გაიტაცა, რომ ვერც კი შენიშნა ისე მიუახლოვდნენ მერის ბინას. ამ გარემოებით ნაწყენმა, გულუბრყვილოდ განაცხადა:

—თქვენთან მართლაც ყოფნის დროს სიყვარულზე უნდა მელაპარაკა და ისე გაგაგრძელებ ჩემს წიგნზე ლაპარაკი, რომ დრო აღარ დამჩნა.

—სხვა დროსთვის გადავდეთო! — უთხრა მერემ და ჩვეულ კისკისით გაუწოდა ხელი დასამშვიდობებლად.

ანეპოდისტე, როცა თავის ბინაში დაბრუნდა, დიდხანს ფიქრობდა მერიზე და ამ ფიქრში ჩაეძინა.

სიზმარშიაც არ მოშორდა კეკლუცი ქალი. მას ესიზმრა: თითქოს, მერის ბინის წინ გაიარა, მერი ფანჯარასთან იყო მომდგარი, დანახა ის და კისკისით გადმოსძახა:

—პატივცემულო ანეპოდისტე, თქვენ რაღაც უნდა გეთქვათ ჩემთვის და გუშინ ვეღარ მოასწარი. გამოიარეთ ახლა, მარტო ვარ შინ მოწყენილი, ქმარი სამსახურშია...

მეორე დღეს, როცა გაელვია, ანეპოდისტეს ნათლად მოაგონდა სიზმარი. სიზარულის გრძობამ გაუღიტინა გულში. მან გაიფიქრა: თანამედროვე მეცნიერება არ უარყოფს მანძილზე გადაცემას. იქნებ მართლა ფიქრობს ის ქალი ჩემზე. მოდი ვსინჯავ. გაუვლი ფანჯარასთან. მე ხომ გზა მაინც იქით მაქვს.

მან წვერი კოხტად გაიპარსა, საგანგებოდ მოიკაზმა, ოდეკოლონი „კრასნაია მოსკვა“ უხვად გადაივლო, პორტფელი ხელში დაიჭირა და 11 საათი როცა შესრულდა გავიდა სახლიდან.

მერის ბინას მან შორიდანვე დაუწყო ცქერა, მაგრამ ფანჯარაში არავინ ჩანდა ფანჯრის პირდაპირ ცოტა ხანს შესდგა. იქვე ახლოს ხილეულის წყლების კიოსკი იყო. მივიდა წყალი დალია, თუმცა არ სწყუროდა; მეპაპირესთანაც მივიდა პაპირისი იყიდა, თუმცა გაუხსნელი „რეკორდი“ ჯიბეში ედო. ცალი თვალი, რა თქმა უნდა, ამ დროს მერის ბინის ფანჯარისაკენ ჰქონდა, მაგრამ ფანჯარა კვლავ მიხურული იყო.

ჩვენმა შეყვარებულმა უკვე იმედი გადასწვრიტა, — სიზმარმა ფუჭად ჩაიარა, რომ უცებ ფანჯარა გაიღო და გამოჩნდა მერი, თეთრი აბრეშუმის კაპოტი. ის ახლა ამომავალ მზეს ჰგავდა, ყოველ შემთხვევაში დოცენტის თვალში, მაგრამ, როგორც ეტყობოდა, თავის რაინდს ვერ ამჩნევდა.

—დილა მშვიდობისა პატივცემულო მერი! — შესძახა ანეპოდისტემ და საჩქაროდ მოიხადა ქუდი.

მერი უცებ მოიხედა, მისალმებაზე უპასუხა და უნებურად გაელიმა, რადგან შენიშნა, რომ დოცენტი რაღაც საგანგებოდ მოკაზმულს ჰგავდა.

—დიდ ბოდიშს ვინძი შეწუხებისათვის, მაგრამ ძლიერ სასწრაფო საქმე მაქვს და თუ შეიძლება თქვენი ტელეფონით ვისარგებლო. — მიმართა ანეპოდისტემ ქალს და თვითვე ძლიერ კმაყოფილი დარჩა თავისთავის, რომ ასე მოულოდნელად მოიფიქრა სატრფოსთან დაახლოვების საბაბი.

—ამობრძანდით! — მიუგო ქალმა. თუმცა სახეზე დაეტყო, რომ არ სიამოვნებდა ეს უდროო დარბაზობა.

ანეპოდისტემ პირველად რომელიღაც ინსტიტუტში დაუძახა ვიღაცას, რომ განსაკოვში მაქვს საქმე და ცოტა შემავიანდებო. შემდეგ ბინა შეათვალიერა.

კედელზე შენიშნა იტალიელ მხატვრის გვიდო რენის სურათი „კლეოპატრა“.

—ვერ წარმიდგენთ როგორ მომწონს ეს სურათი. საინტერესოა საერთოდ კლეოპატრას პიროვნება. მე მაქვს ერთი იშვიათი წიგნი: „მსოფლიოს შესანიშნავი ქალები“. განსაკუთრებით საინტერესო მონოგრაფიები არის იქ კლეოპატრაზე და მაღამ რეკამიეზე დოცენტმა დაიწყო ლაპარაკი კლეოპატრაზე. შემდეგ გადავიდა მაღამ რეკამიეზე და გამოსთქვა მწუხარება იმის გამო, რომ დღეს აღარ გვყვანან ისეთი დამები, რომელნიც თავს უყრიდნენ თავიანთ სალონებში: პოეტებს, მხატვრებს, მუსიკოსებს და სწავლულთ.

ის საკმაოდ საინტერესოდ ლაპარაკობდა, სხვა დროს და სხვა გრემოებაში მერი მას სიამოვნებით დაუგდებდა ყურს, მაგრამ ახლა კი ძლიერ აწუხებდა ამ განათლებულ კაცის ვაკვიანურებული საუბარი.

საქმე იმაში გახლდათ, რომ ქალი ყოველ წუთს ელოდა ქმრის მოსვლას და შიშობდა უსიამოვნება არ მოჰყოლოდა ახალგაზრდა დოცენტის ასეთ უდროო დროს დარბაზობას.

ანეპოდისტეს მიზანი იყო სიყვარული აეხსნა ქალისათვის, მაგრამ ჯერ ცდილობდა თავი მოეწონებია თავისი სწავლულობით.

ამ მიზნით მან გაშალა პორტფელი და ამოიღო თავისი ახალი შრომა, საწერ მანქანაზე გადაბეჭდილი.

—აი, ჩემი ახალი შრომა, ეს არის დავამთავრე.

—საინტერესო იქნება უთუოდ! — ცივად გამოეხმაურა მერი.

—ო, ძალიან საინტერესო! ჩემი წიგნი მოსწავლე ახალგაზრდობას დიდ სარგებლობას მოუტანს, მისი განსაკუთრებული ღირსება ის არის, რომ თერმინები მაქვს შიგ კარგად განმარტებული.

ქალმა გადაშლილ წიგნს გადახედა და თვალი მოჰკრა სიტყვას „ანტიფრაზა“

—წაიკითხეთ ამ სიტყვის განმარტება! — ეშმაკური ღიმილით მიმართა დოცენტს.

—ანტიფრაზა ეწოდება ისეთ ფრაზას, რომლის აზრიც შებრუნებულად უნდა გავიგოთ. — და ანეპოდისტემ მოიყვანა რამდენიმე მაგალითი და რადგან შენიშნა, რომ ქალი გულდასმით უსმენდა, ბოლოს შეეკითხა, ხომ გაიგეთ რას ნიშნავს ანტიფრაზა. ქალმა მიუგო:

—როგორ არა ძალიან კარგად. აი, მე რა უნდა გითხრათ: ჩემს ქმარსაც ძლიერ უყვარს მეცნიერული წიგნები. დაწესებულება სადაც ის მსახურობს აქ ახლა. იმათ დასვენება აქვთ 12 საათიდან პირველის ნახევრამდე, ის მუდამ შინ საუბრობს, ახლა თორმეტს ხუთი წუთი აკლია, სადაც არის ჩემი ქმარიც მოვა ბარემ დაიცადეთ, ის თქვენ რომ ჩემთან მარტო ასეთ დროს გნახავთ, უთუოდ ძლიერ ესიამოვნება და მოინდომებს თქვენს პატივის... ცემას! — გააგრძელა უკანასკნელი სიტყვა მერი.

ანეპოდისტე საჩქაროდ წამოდგა, ჩასდო თავისი წიგნი პორტფელში, ქუდი ხელში აიღო და გაღიმებულად უთხრა ქალს:

—ჩინებულ ანტიფრაზაა, მაგრამ სხვა დროს იმედია ნებას მომცემთ შემოვიარო თქვენთან?

—არასოდეს! ამით მთავრდება ჩვენი ნაცნობობა.

ამ შემთხვევის შემდეგ ანეპოდისტეს ჭირით შესძახა სიტყვა „ანტიფრაზა“ და თავის მეცნიერულ შრომიდანაც გააძევა ის.



პროვინსი

1-ლი ხულიგანი: — აგრე მოტეხე, რა ვირულად გაჩერებულხარ!

მემაწვინის ვირი: — პროტესტ ვაცხადებ ცილისწამებისათვის, მაგისთანა ვირობას ჩვენი ჯიშიც არ იკადრებს!

ლონდონი. ინგლისის თემთა პალატის სასხდომო დაჯიშვებამ ხედავს სიტყვების შადრევანმა, რომელიც წარმოადგენს მუქარას გერმანიის მიმართ. ამ შემთხვევას საომარ მდგომარეობაზე ჯერჯერობით არავითარი გავლენა არ მოუხდენია.

ბრძნული წინასწარმეტყველება

ლონდონი. თემთა პალატის შუბლმთავარი წევრები ინგლისის პარლამენტის სხდომაზე ამტკიცებენ: — თუ არ დავმარცხდით, აუცილებლად გავიმარჯვებთო.

შიშის თვალაზი

ლონდონი. გუშინ ლონდონის პოლიციამ საპატიმროში წაიღო ვიღაც უცხოები მოქალაქის დაკარგული ქოლგის ტარი. ეს ახირებული პატიმრობა გამოწვეული იყო იმ მიზეზით, რომ ქოლგის ტარი პოლიციელს უცხოელ პარაშუტისტად მოეჩვენა.

კვირები

ტოკიო. კონოეს კაბინეტის დეკლარაციამ ტოკიოს მოქალაქეებს გული აუტოკა... შიშით, რაც მომავალი ცხოვრების წარმოდგენით არის გამოწვეული.

უბაუარი ინფორმაცია

ლონდონი. ინგლისის შტაბი სარწმუნო წყაროების მიხედვით იუწყება, რომ ინგლისის რომელიღაც თვითმფრინავი რომელიღაც მიმართულებით გერმანიის გამანადგურებლის მომგვანო რაღაც ფრინველებს დაედგნა და უცნობი ფრინველები უკვალოდ გადაიკარგნენ.

მანუში გაგზული ჩიტები

ანკარა. გერმანულ პრესაში „თეთრი წიგნის“ გამოქვეყნებამ თურქეთის მმართველ წრეებში შავი ფიქრები გამოიწვია.

კომპრომისი

— რა საქმელი გაქვთ? — შეეკითხა რესტორანში მომტანს მომხმარებელი.

— კატლეტი, ბივშტექსი „პო გამბურცკი“. მომხმარებელმა მენიუს გადახედა და ბივშტექსის გვერდით კერძის ფასის გრაფაში ამოიკითხა 10 მან. 50 კ.

— იყოს ბივშტექსი.
— ახლავე.

რამდენიმე წუთის შემდეგ კერძი მიუტანეს.

— ეს სადაური ბივშტექსია? ეს ხომ მოსკოვის კატლეტია? — შეეკითხა მომტანს მომხმარებელი, მაგრამ უკანასკნელმა მას ყურადღება აღარ მიაქცია და სხვა მომხმარებლები-საკენ გაეშურა.

უკმაყოფილო მომხმარებელს არ მოეწონა ბივშტექსად გასადებული მოსკოვის კატლეტი. ერთი ცალი შეჭამა და მეორე კი ხელუხლებლად დასტოვა.

— იანგარემეთ, — უთხრა მან მომტანს.
— ზელცკი ათი შაური, ბივშტექსი ათი მანეთი და ათი შაური...

— რას ამბობ რა ბივშტექსი? კატლეტში ბივშტექსის ფასს მახდევინებ?

— კატლეტი კი არა, ბივშტექსი იყო.

— აგერ არ არის ერთი ცალი, რაღაცა იყო? —

მომტანმა კერძის ნარჩენის დანახვაზე უხერხულობა იკრძნო.

— მოითმინეთ, მოველაპარაკები სამხარეულოში და გამოვარკვევ რა იყო. — უკვე დაწეული ტონით განაცხადა მან და სამხარეულოსკენ გაბრუნდა.

ცოტახნის შემდეგ უკან დაბრუნებულმა მომხმარებელს მიმართა:

— დავითანხმე, როგორც იქნა თქვენი ხათრისათვის, რომ კატლეტის ფასი ვიანგარიშონ.

როდესაც მომხმარებელმა ფასი გადაიხდა და კარისაკენ გაემართა, მომტანმა თვალი გააყოლა და თან გულში გაიფიქრა:

— რამ დაუკარგა მაღა მავ შერცხვენისლს, ვერ ჩაცეცხლა ი მეორე კატლეტიც, რომ არ დევლეუბე? სულ იმ მორჩენილი კერძის ბრალია ჩემი კომპრომისი. ხომ დველიუბები რომ სხვებიც მაგას ბაძავდნენ?

გაგნის უხსრულება

ქარხნის დირექციას დაზიანებული მანქანის ახალი ნაწილები მოუვიდა.

— არიქა! სულზე მოგვისწრო.

კ ე ზ ე რ ე

— დაგვლუპავდა, რომ დაგვიანებულყო: გეგმებს ველარ შევასრულებდით.

— რალა დროს მაგის ლაპარაკია? შოფერი სად არის! შოფერს დაუძახოთ.

დაუძახეს შოფერს.

— მანქანის ახალი ნაწილები მივიღეთ, უნდა გადმოვტვირთოთ. რკინიგზის საბარგო სადგურზე გაეშურე საქაროდ.

— არ შემიძლია.

— ახლავე! საქმის გადადება არ შეიძლება, დაგვიგვიანდება გეგმის შესრულება.

— არ შემიძლია, ბენზინი არ არის.

— ისესხე. ხვალ ახალ ნორმას მივიღებთ და გადაუხდით.

— არსად არ მეგულება. ხვალმედი უნდა მოვითმინოთ..

მისმა ავტორიტეტულმა განცხადებამ ყველანი დააღონა. მდგომარეობას შეუორგდნენ. გათავდა წარმოებაში მუშაობა.

დაბინდლა.

შოფერმა მიხომ სატვირთო მანქანა გარაჟიდან სადღაც „იქვე მახლობლად“ გაიყვანა „გასარეცხად“, რადგან წყალი გარაჟის ეზოში დროებით შეწყვეტილი იყო.

თავჯღომაარის პარსი

(ცუცხვათი, ტყიბულის რაიონი)

აქ სოფლსაბჭოს თავჯღომარეს დაებადა აზრი წმინდა: „ტელეფონის დახმარებით შეუერთდე ორპირს მინდა“.

მან რაკი ეს მოიგონა, შეუშლიდა კვლავ ხელს რაღა? გაიწვია გლეხები და მუშაობა გააჩაღა.

მყის გასთხარეს ორმოები, მაგრამ ეხლა მოაგონდათ, რომ თხრილებში ჩასაყრელად ჯერ ბოძები არსად ჰქონდათ.

ორმოებში გაჩნდა ტბები, იცურებდი მასზე ნავით, გამვლელები შიგ ცვივოდნენ ზოგი კისრით, ზოგი თავით.

სამ წელიწადს ცუცხვათლები ბოძთა ძებნით გართულები არ ფიქრობდნენ, რომ ბოძს გარდა საჭიროა მავთულები.

ძლივს ჩაასვეს ეს ბოძები ზოგი სწორად, ზოგი მრუდვით, ძირში მოღვნენ, გადაიქცნენ გომბეშოთა მყუდრო ბუდეთ.

ზედ ყვავები ისვენებენ, გასჩხავიან ნაღვლიანად, ერთი მოტყდა და იმსხვერპლა ლეკვი დედა ძაღლიანად.

ვალ. მუხუჩაილი

წყნოკადების აკანო

(ტყიბულის რაიონი)

სოფელ წყნორის არტელმა აბანო ააშენა და ახალ წამოწყებით ქვეყანა „დაამშვენა“.


არ დასცალდა აგება, გაიტაცეს ქონება, დარჩენილი შენობა დაიკავეს ღორებმა.

ვიჩიკო

თავაუღებელი „მუშაკი“

ნახ. დონისა

ეროვნული ბიბლიოთეკა



— ამხ. დირექტორო, ჩვენი საწყობი იწვის!
— ხომ ხედავ არა მცალია, მოხსენებას ვწერ, მიმართე ჩემს თანაშემწეს.

მოთხრობები

* *

რამდენიმე წუთის შემდეგ ტაბახმელას სერზე გრივადივით მიჰქროდა კოჯრისაკენ მიმავალი შოფერ მისხოს მანქანა, რომელსაც 16 კაცის დამტევი მანქანით ხალტურაზე წამოყვანილი 24 მგზავრი მიჰყავდა და გულში ფიქრობდა:

— მომკლეს ქარხანაში გეგმის შესრულებაზე ლაპარაკით. რაში მეპიტნავენა მათი გეგმის შესრულება. მე ჩემი გეგმები მაქვს... 16 მგზავრის ნაცვლად 24 კაცი მიმყავს, უკან გამობრუნებისასაც თუ ამდენი მგზავრი ვიშოვე, მართლაც კარგი ხალტურა გამომივა... მგონი იქიდან გამობრუნებისასაც გამიმართლებს და აი, ეს იქნება გეგმის შესრულება.

რაციონალიზაცია

რაიონის თეატრში შექსპირის ოტელოს თამაშობდნენ.

ადგილობრივი გაზეთის ადგილობრივი რეცენზენტი ალლომქვერისვილი იჯდა პარტერის მეორე რიგში და ნერვიულობდა.

— აუტანელია! — ფიქრობდა ის გულში, — დეზდემონა მომხიბლავ ახალგაზრდა ქალის ნაცვლად სამოცი წლის დედაბერს ჰგავს. მე-

რე დედაბრებიც არიან და დედაბრებიც. აქ ნაჩვენები დეზდემონა გულუბრყვილო ქალის ნაცვლად პირდაპირ „გასუქინსინებულ“ სამოცი წლის დედაბერს მოგაგონებს. ოტელო? აქაური ოტელო ღვინოგადაკრულ მოლაზნანდარე შორაპნელ აზნაურს უფრო ჰგავს, ვიდრე ომში გამობრძმედილ მავრ ოტელოს. იაგო?! ჰმ... იაგო გაიძვერა ადამიანის ნაცვლად გულუბრყვილო ბავშვის შთაბეჭდილებას სტოვებს... აი, მან აიღო დეზდემონას ხელიდან შემთხვევით იატაკზე დაგდებული ოტელოს ცხვირსახოცი, რომლითაც ოტელოს გულში ჯოჯოხეთის ცეცხლი უნდა დაატრიალოს, რომლითაც უმიზეზოდ უნდა დაღუპოს ორი ადამიანის სიცოცხლე. აიღო და ხელში უკავია... უკავია ისე, როგორც ზღაპრულ ანგელოზს თეთრი პერგამენტი... უკავია ისე, თითქოს პოეტს გალაქტიონ ტაბიძეს იაგოს ახლანდელი პოზა ჰქონდეს გათვალისწინებული თავის სტრიქონებში:

ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი მწუხარე თვალებით მიწას დაჰყურებდა... თითქოს ეს ანგელოზი მზაკვარი იაგოა. თამაშიც ასე უნდა! საძაგლობა! აუტანელია! ეს

თამაში რომ შექსპირმა წარმოიდგინოს, საფლავში გადაბრუნდება.

რეცენზენტმა ბლოკნოტი ამოიღო და შენიშვნების წერას შეუდგა.

დამთავრდა უკანასკნელი მოქმედება, ფარდა ჩამოეშვა. დამსწრეების მნიშვნელოვანმა ნაწილმა ჩვეულების თანახმად მსახიობები ტაშით დააჯილდოვა. რეცენზენტმა ლოკისაკენ გაიხედა. რაისაბჭოს თავჯღომარე და მასთან მყოფი რამდენიმე რაიონის პასუხისმგებელი მუშაკი მსახიობებს ტაშს უკრავდა.

რეცენზენტმა თავისი ბლოკნოტი კვლავ ამოიღო. შენიშვნებს ხაზი გადაუსვა და ჩასწერა:

წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. მსახიობები ყველანი თავთავიანთ ადგილზე იყვნენ და ანსამბლს ხელს უწყობდნენ. გასაკუთრებით დამაჯერებელი იყო მაკრინე ეფისტინევილის სახე, რომელიც დეზდემონას როლს თამაშობდა. მსახიობმა ონისე ქარსიძემ იაგოს როლი სავსებით დასძლია. იგი გაიძვერა ადამიანის იშვიათი განსახიერება იყო.

მედუზა

ცოლის ხარისხი

ნახ. დანხა

ნახ. მიხ. ლებეფვისა



სამაბრო



სახვამი



და

ფაქადვერა ფლორი

გადაფიქრებულ, როცა სტარტიკოსების ზეპირი ვად-
მოკვითი თბილისში შეყვარებული პროცენტმა სამი-
ოცი იმავა, როცა ცოლებისაგან წერდებოდასებული,
წამართის ყინვან დადარბილი ქმრებ შედარებით აღვი-
დად შეივდებ ცოლისა და ბნის მტკიცეება, ნეგაზილი
განაღმსრუბთ, მივრისა და სანაპირო ქუჩის სივრცის
თავსაღმრუბით დაიწყო ეს ნახევრადლორული ამავე.

გავს ინტერნის სახეულობის მრავალმდრ ერთი ცო-
ლიდა ავლა, სადღეობში შრომას ამაღლდა; ღამით
იყო, მაგეორიანი, გაბედული, ღონიერი, სწორად ისეთი,
რომლის ცოლობაზე ბევრი ქალი უარს არ იტყვის, თუკი
დარწმუნდება, რომ მოპირდაპირე წამდივად არის მი-
სი მთავრები.

ქალის შესახებ კი — ჯერ ბევრს ვერაფერს მოგახვე-
ნებთ: მოიხრობისათვის არის ასე საჭირო...

სიღამოვას გაეცნენ მის ერთიმეორე. ეს იმ ქალის
საშუალებით მიხვდა, რომლის სახელი აღარ მხსოვს,
გვარი კი — მანიაკ არ მკვდინა.

შესავე პირმა ზრდილობიანი ბოდიში მოხდა და
თითქო განზრახ მოაწყო, მოლოდინმა ბატონ დატოვა.
გირამის უხერხულად იგრუნეს თავი, მხას არ იღებდნენ.
მითხრა უცნაურია სიყვარულის შექსნია, მკვდრისად კი
წამოაყვანეს, — იტყვიან ხოლმე და ჩემი მოიხრობის
გმირისად არ გადუბნევიან ამ მუნებრივი წყისაგან.

ნოქმ, — ასე უხმობენ გავს მისი დატოვებული
დარწმუნდება, რომ მოპირდაპირე წამდივად არის მი-
სი მთავრები.

- თქვენი სა...სახელი?
- ვეღარ!
- მოწონიერი სახელია!
- არა გჯერია...
- მე კი უხეველად ასე გჯერია, რადგან მეც სახელს
თქვენ ღატარებთ.
- თქვენი ზეპირა ყოფილობა...
- თქვენ — დაუჯერებელი...
- მაგრამ... არა ყველაფერი...
- მავალითად, რას დაუჯერებდით?
- იმას, რომ თქვენ ჩემთან დაბრავდით...
- და ამ ნაღამარაკებში რომ გამოირიოდა ასეთი

- სიტყვები: "მე თქვენ მოაწვინებთ", მაშინ?
- მაშინ, რა?
- დაიჯერებდით?
- მოაწვინებდაც თავისი თაბუთი აქვს: ზოგად, მავა-
ლითად, მისამსახურად მოსწონთ, ზოგად — ცოლად, ზოგად
კიდვე — ისე, სიყვარულად.
- ქმრობა რომ შემომთავაზებენ?
- გაგიკინებდა.
- და ამის მიზეზი ის იქნებოდა, რომ მე უხეზო ვარ?
- სრულიადე არა, ცოლის თხოვისათვის უხეზობის
გვალდებულება ჯერ არავის მიუტო.
- მაშ?
- ის, რომ ეს შეუძლებელია.

ვინ იყის რამდენი უსაწყობი კაცი მიუყვანია გურ-
კველი თვალაწყობამდე, ქალის მიერ ძლიერ ფრთხილად
ნათქვამს, ამ ჩვეულებრივ არას! ნიკოც ნიკამაღური
აღბანი გახლდათ. თვალაწყობა, ნახევრადბატონულმა
მიავლა სატრფო სახლამდე, მიაცილა და სვედა გყოფ-
კედა. შესესულთან მიხალაგებისას ქალმა გააფრთ-
ხილა:

— კარებთან ნუ მხლე, დგინდავენ, არ მინდა
ოჯახში უსაიფრებება ჩამოვ...

ცვიად გაბიზრულად ვე...
ქვიანი ყოფილა — ეტყობა მან, — ქმარი თუმცა
ქმრიათ ქალზე ხომ შერის უღამია იყოს! ხომ შეიძ-
ლება ქვიათი ქალიც რომ სულელი ჩემო თავო, რას
ბოდაც: რა გამეჩვენებია ღამე განა ქალთობით ცოტა
აღმოსწავლა, რომელიც სიკეთესის ერთიმეორე
შეპრე ამოხვრისა გაიმეჩვენა სულელმა! ეს რა შეპრე-
თება? გათვდა. მე მას ათქვამს.

მაგრამ ერთი ჩემი ზუსთავიანი იტყვის ხოლმე:
„სხვათაირაო სიყვარულიცა: ქალი თუ მოკვნი-
სი, თორმეტი გული რომ უნდეს, თორმეტვე ადამი,
თორმეტვე რომ მხა ახლოს და იყვინო, რას
სხადებარ, ეგ რა მოსაწვინებს დაუბნეო, შერდა უხე-
ზურად შეცამეტე გულს კახაზე და ათქვინებენ: გატ-
ყულებდნენ შე სულელი, თუ შეხედე, მაგ ქალს ვანა
ვიმეც სკობინა?..."

ალბათ სწორედ ამის სტი იყო, რომ ნიკო, ეღვე-
ნეს სახლის დანჯერეს მიუყვარ არ მოსცილებია. მი-
ვივლად ხილმე სახლში მოკვლიანი, ცარხანას ათვა-
ლიერებდა იმ კარებს, როცა ეღვენეს ღღემი თიხ-
ჯერი მანქანა ვიღაც დასტოვა, კარებზე გაკრულ
ღამეს წარწერას წაიკითხა (მინდავინე ექნებ დობო-
ჯობინებო, ეს წარწერა აქვდა) და გაიფრებდა:
— ამქვის ცოლი რომ ინებებე გავს, ვითომ რა ექნება?...

არაფერი გამოვიდა წიკვადამოხეულ ვიკაცს:
მიღე თვის უღარავა და ვეღვინე მოკვნი ეღვენეს,
— იქნებ ეღვედა და ეღვინებოდა, იტყვდა ხოლმე
ხანდახან და თავის თიხე უნებოდა. ბოლოს, მოაშ-
ნების ფილად რომ ავესო, რან მსგელის მართნი ავად-
მყოფობა მოიხიზნება და ზრეს სახლის კარების ზარის
ლილს თითი დააპირა.

კარები გააღეს.
— მობრძანდით! — გას ქალის ნახე მხა და კინა-
დამ მუხლებში ჩაიკეცა ნიქ ქალი ეღვენე იყო, წამდ-
ვილი ეღვენ!

- ექვნი სახლშია? — მან.
- დახ... მაგრამ, მე მიგვიყვანათ, სხვა ეღვარა-
ვინ ნახეთ? — აკანკალეხული მითი მკითხა ქალმა.
- ვითომ სულ ერთი... არის? — ნახევრადგაკვირე-
ბულის ტონით ფრთხილად ეღვენე ვაგა და ექვმის კა-
ბინების მიაშურა.
- ექვმმა, რასაკვირველად...
— რას იტყვიან? — ეღვენეს შემდეგე იკითხა ახალ-
გაზრდა სვეცილისტმა.
- ეგლი... რალაც... — ეღვენე ვერ დაამთავრა ნიკომ.
- რაო? — გაეღიმა... — მყვარებული ხომ არა
ხირო?

— არა, რა ღროს სი...
— რატომ ცხელ... — ეღვენე ექვმმა.
ნიკო დაბანა, ძლიერ...
— გამ... განმსჯეო.
ექვმმა გულდამსით ვაგ...
— მოხსენა და რალად წამ...
— მოკვნი.

წამოვიდა ნიკო, ერთ კვირას ადარ გამოუსო ვარედ,
ფერობდა, იფრება და მოთვრება: შეღებვად დღეს დი-
ლიდან უღარავდა ეღვენეს და საღამოს მოსწრო კი-
ღვეც: პური მოჭმინდა ქალს საცხობინად.

იგი ძველი შარავით გაღვლეა წინ ეღვენეს.
— ბერი მინცე მამაკე, ეგლი — უხიბო და ვაჯერდა.
— გამიშეო, რად ღროს ხუმრობა... — წყრობით თქვა
ქალმა.

— დღენის ღრო ხომ არის? — წყრობითვე ამოიგმი-
ნა ნიკომ და დაყოცა — ეღვენე მომეტე მოლაპარაკების
საშუალება, თორემ საშინელს რამსე ჩავიდენ.

ცოტა ხანს ეჯებრეს და ქალის დაპირების თანახმად,
საღამოს შეეღვენენ ერთიმეორეს.

იმევე სანაპირო ქუჩაზე ვაგმა პირდაპირ მიიტანა იე-
რითი: „ოჯახი უნდა დატოვო და წამოვიყო“, მტკიცე
დავალბება მისცა, ქალმა, როგორც წესია, ჯერ რამოდენ-
იმეც ცრემლი გადმოავლო, შეღებვ კი, როცა ვაგმა დანა
ამოიღო, ვაგმა, ხელში შესთავაზა და მამართა: „ან
დამკალო, ან „ხო“ მოხიბარო“, სიჯობით ცრემლები
ცილა და იმევე საღამოს წაწყვა ევს სახლში...

ს ს ს

დაცხრა სიყვარულისაგან გამზავებული გული, დაიწყო
წინააღმდეგობა (სიყვარება). შეღებვდიდან რამოდენიმე
დღე ვაგდა. ნიკოს ერთი რამ აკვირებდა, მაგრამ არა-
კვირებდა იმევეტონ კმაყოფილი იყო და ქალს ევა-
ფერს ეკითხებოდა.

საღამოს ვიღაცამ კარებზე მოაკაკანა.
გაღულს. ექვნი დობორჯვინად შემოვიდა. ნიკოს მო-
წოდებლობისაგან ფერმა უღალატა და ყოველ შემთხვე-
ვისათვის მოემზადა ახალდაქორწინებული. მაგრამ დღის
დამოადლება არ იყო საჭირო. ნიკო უკვე რამოდენიმე დღის
დარწმუნებული იყო სტუმრის ყოველმხრივ უძლეურობაში.

— ბოდიში, მაგრამ მოსალაპარაკებლად მაქვს თქვენ-
თან... — სთქვა სტუმარმა.

- ნიკომ პირდაპირ, უხეშად მოუკრა:
- არავითარი მოლაპარაკება, მე წამოვიყვანე თქვენი
ქალი და ეღვარავის დაფუთობა. თუ არ მოკვინია, სადაც
მელოდეს იქ დამხვდით. ახლა კი გთხოვო მობრძანდეთ.
- კი მაგრამ... მეტყობით, შემითანხმდებით... —
სთქვა ექვმმა და წასასვლელად მიემზადა.
- ცოლის წართმევებზე ვერბნის არ უფანანდებინა! —
მხა აუწია მასპინძელმა.
- ვინ ცოლისა? — გაკვირვებით იკითხა დობორჯვინი-
ტემ, — მე ცოლი აგარავებ შეპეს ვაგავნილი.
- მაშ... ეს... —
- ვინ ეს?
- ეღვენე რა არის თქვენი?
- ეღვენე მოსამსახურე იყო ჩემი...

ნიკო კინადაც ცას ეწია სიხარულისაგან, დაეტკა
სტუმრის და თოჯირ ზეიდზედ გადაკოცა.
მევე საყვარლის თვალბოთი შეჭურებდა პატარადას.
გაკვირებული ექვნი კი, ურწმუნო ექვნი, იღდა და მექ-
ნიკურად პირგავრის იყურდა.

გ. ივანიშვილი.



— ვანო, გაფრთხილდი, მეორედ იორანი აღარ მიიღო, თორემ მალაიაში წავალ და სახვამე სათამაშოებს გავილი!

მელნიკოქარა

ნახ. დანხა



— მიშვილეთ, ექვნი, ბავშვმა ნებს ჩაუღამა. — მერე მალე გაიღვეტეთ, თითო ნენსი შაფრი ღირს...

მოლა თბილისში



რაღაც უხერხულია საკუთარ ცოლზე წერა და მე მზად ვიქნებო-
დი საკითხი დაუყოვნებლივ სხვის ცოლზე გადამეტანა, რომ ის, ვიხეც
ვსწერ ახლაც ჩემი ცოლი იყოს.

შევირთე ცოლი—მე ეს შეცდომა შემემთხვა ამ ათი წლის წინ.
უნდა გამოვტყდე, მე იგი შემიყვარდა პირველყოფლისა იმიტომ, რომ
საშინლად მომწონდა თავისი მოკლე ტანსაცმელით. ძალიან უხდე-
ბოდა სწორად დახურული ბერეტი, რომელიც ფრიად ჰარმონიულ
ვითარებას ამყარებდა პატრონის ცხვირთან. ატარებდა იგი მოკლე
კაბას, რომელიც წარმატებით უმხელდა მას ბუნების მიერ მომად-
ლებულ ნაკვთებს. მე ძლიერ კმაყოფილი ვიყავი ჩემი ქეთოს ამგვა-
რი მორთულობით, რადგან, ბოლოსდაბოლოს, ახალგაზრდა ქალმა
რატომ უნდა ჩაიცვას ისე, როგორც, მაგალითად, ბიცოლაჩემმა მი-
ნადლორა გაბადაძემ?

— აი, ამიტომ მიყვარხარ, ჩემო ძვირფასო,—მეტყოდა ხოლმე
საყვარელი მეუღლე,—რომ შენ კარგად გესმის, თუ რას ნიშნავს ქა-
ლისათვის ჩაცმა.

ასე აუღელვებლად, ტვინის ზედმეტი გადატვირთვის გარეშე მიმ-
დინარეობდა ცხოვრება ჩემი მეუღლისა, მაგრამ ვითარება შეიცვალა
ჩემთვის სრულიად მოულოდნელად.

ქეთო, ერთ საღამოს, ამ 10 წლის წინად, შინ აღრე დაბრუნდა.
იგი აღელვებული იყო.

— რა მოგივიდა ჩემო კარგო, შენ ისეთი ადამიანის ფერი გაძევს,
რომელიც კინაღამ ავტობუსის ქვეშ მოხვდა!

ქალი ხმას არ იღებდა. მხოლოდ ნერვიულად იხდიდა საპარადო
ტანსაცმელს.

— არა, დარდი ნუ გაქვო, ვაჟბატონო,—წარმოსთქვა მან ბო-
ლოს,—ავტობუსის ბორბლებში, სამწუხაროდ, არ მოვხვედრილვარ.
მე უფრო უარესი მანქანის ბორბლებში მოვხვდი... ეს მიკლავს გულს!

— გენაცვალე ქეთო, ნუ გამაგიჟე! რაებს ლაპარაკობ, რა შეგემ-
თხვა, ხომ არაფერი დაიშავე?!

— არ არის ეს თქვენი საქმე!

— კი, მაგრამ მე შეინტერესება რომელ ბორბლებზე დასაჯდები?
— თქვენს ბორბლებზე, ვაჟბატონო, დიახ თქვენს ბორბლებში
მოვხვდი და, თუ ისიც გეინტერესებათ რა დამიშავდა, მოგახსენებთ
— ჩემი გული გაიჭყლიტა შენს ბორბლებში!

— აი, სწორედ ეს აღარ მესმის... რას ნიშნავს ჩემს ბორბლებ-
ში? რატომ, ან რისთვის! ახ, ნუთუ დავიღუბე?!

— ჩემს გარდა, ახლა, თბილისში არავინ დადის მოკლე კაბით...
ცხოვრება წინ მიდის, გემოვნება იცვლება, ყველაფერი იცვლება.
მე კი დავდივარ სულელივით ადამისა და ევას დროინდელი სა-
მოსით!

გამოირკვა, რომ შემუშინებლად მოგვპარვია ახალი მოლა, რომე-
ლიც სცვლიდა მოკლე კაბას გრძელით. ყველაფერზე თანახმა გავხდი.
ოღონდ ღამით კინაღამ გული შემიღონდა, როცა წარმოვიდგინე ჩე-
მი ქეთო კოჭებამდე დათრეულ კაბით და განზე მოქცეული ბერე-
ტით.

ერთი კვირის შემდეგ საკვირველი მეტამორფოზა მოხდა. მე და-
ვინახე ქეთო ახალ სამოსში და თვალს არ ვუჯეროდი. ეს იყო მშვე-
ნიერების განხორციელება. ქალის ვიწრო ბეჭებიდან გულმკერდზე
ეფინებოდა ძვირფასი აბრეშუმი, რომელიც სუფთა ტალღებივით მი-
ყვებოდა სხეულს განსაზღვრულ ადგილამდე. შემდეგ ისევ ვიწროვდე-
ბოდა და კვლავ ფართოვდებოდა ფეხების ტერფებამდე. რა ჩამორ-
ჩენილი ვყოფილვარ, რომ დღემდე ყველაზე საყვარელ არსებას ჩემს
ქეთოს ვატარებდი მოკლე კაბით. მიკვირს, როგორ შეიძლება სერი-
ოზული ქალი დადიოდეს ასეთ პორნოგრაფიული სამოსით. საინტე-
რესოა კიდევ შემდეგი: ხომ გახსოვთ როგორ მომწონდა სწორად და-
ხურული ბერეტი, რომელიც ჰარმონიულად იყო შეხმატკბილებული
ქეთოს თვალებისა და განსაკუთრებით ცხვირის განლაგებასთან. ახ-
ლა უკვე უაზრო ასიმეტრიულობად და დისჰარმონიად მიმაჩნია ყვე-
ლაფერი ეს. როცა ვხედავ, რა საუცხოოდ უხდება ქეთოს მარცხე-

მთაწმიდელი ვაკიელი

(თბილისი, მერვე სრ. საზ.სკოლა)

ეს ამბავი სათაკილო
მოხდა აქვე, მთაწმინდაში.
ჩვენს მთვარაძეს, მასწავლებელს,
აუტყენა ღვინომ თავში.

ხმალათ ჯოხი დაიკიდა,
გამოიკრა კოხტად წელი,
გზაში ქალებს გადაუდგა
ეს მთაწმინდის ტარიელი,

მან ძმაბიჭებს გადახედა,
ამცნო უღრეკ ვეფხის თვალით:
„თუ სურვილით არ დაგვინებდნენ
გავიტანოთ საქმე ძალით.“

მიხვდნენ გმირნი, თუ რა სურდა
მასწავლებლის კოხტა თვალებს,
გამოვარდნენ, სათითაოდ
დაეკიდნენ თივებში ქალებს.

დილა იყო, გაჩნდა ხალხი,
გამოსტაცეს გმირებს ქალი,
შეკრთა ჩვენი პედაგოგი
გაუვარდა ჯოხის ხმალი.

უცებ უკან მოტრიალდა
ეს „უმწიკვლო მინდვრის გვრიტი“,
ხელშემწლელებს მიაყარა
წყველა-ლანძღვის „მარგალიტი“.

გ. წიფლასერელი.

ვის ეხება?

ქვეყანა რომ დღეობს მერწმუნეთ ზმაშია,
თბილ ადგილზე მოვეწყვე გამომცემლობაშია.

დროს ვატარებ, ღვინოს ვსვამ ყანწით, ქიქით, კულებით
და ყელს ვიკოკლოზინებ შემწვარ-მოხრაკულებით.

ავტორები ამბობენ:—„გახსენ გულის კარიო
და მისწერე ბულალტერს მოგვცეს ჰონორარიო“.

მეც ვპირდები—„მოგვცემოქო“, ბუხსაც კი ვწერ „გაეციო“
თან ვფიქრობ: თუ მიიღოთ, მკერდს მახვილი დამეციო.

ნაწერს ნიშანს დავუსვამ ისეთ წესს და რიგზედა,
რომ ბუხმა მსწრაფლ გაიგოს ფული გასცეს—ვისზედა.

დარდმანდულ ცხოვრებას „დიდ შრომასთან“ ვაერთებ,
წიგნების კორექტურას თუმცა მე არ ვაკეთებ,

მაგრამ მე სხვის მაგიერ მაინც ვიწერ ხალტურას
და გაქაფულ ფულებით ვიმღერი „სისატურას“.

რა ვუყოთ, რომ წიგნებში „ცოტა“ შეცდომებია
„კაკოს“ ნაცვლად „მაკოა“, „მთების“ ნაცვლად „ბებია“.

ან იმისთვის რად მაგდებთ ნიანგის ხახაშია,
რომ „აღვებრა“ ქიმიის გამწვანებულ ყდაშია.

ქაჯანა.

ნა ყურზე ჩამოკიდებული ბერეტი. ცხვირი თავისთავად დამოუკიდებელი დარჩა და სიმეტრიას ამყარებს მხოლოდ თვალბთან, რის შედეგადაც იგი (ცხვირი) ერთგვარ უპირატესობას პოულობს თავისი მეობის გამომჟღავნების თვალსაზრისით. ახ, რა ჩამორჩენილი ვყოფილვარ, რა საუცხოვოა ჩემი ქეთო გრძელ კაბაში, განზე მოქცეული ბერეტით!

მე აღარ მახსოვს, სახელდობრ, რამდენი ხანი ვავიდა ამის შემდეგ. მახსოვს მხოლოდ, რომ ზემოაღწერილი სცენა ჩემს ბორბლებში მოხვედრისა და გულის გაქვლეტისა—უცვლელად გამეორდა.

— დიახ, დიახ! სწორედ თქვენს ბორბლებში ვაისრისა ჩემი გული... მე ის ქეთო აღარ ვარ!—მეუბნება ქალი.

— ქეთო, თუ გიყვარდე, ბორბლებს ნუღარ ახსენებ. შენც იგივე ქეთო ხარ, მეც იგივე ვარ, რაც ვიყავი, იგივე აღარ არის მხოლოდ მოდა!

— სწორედ ეს მიკლავს გულს, რომ შენ თვითონ იცი მოდა იგივე აღარ არის. გემოვნება გამოიცვალა, ცხოვრება წინ წავიდა... აბა მითხარი რომელი ახალგაზრდა ქალი დადის ახლა თბილისში ბიცოლაშენ მინადორა გაბადაძის სამოსელით?

მოკლედ რომ ვსთქვათ, მოდაში ისევ მოკლე კაბები შემოვიდა. ეხ, დავილუბე. ეს პირდაპირ საშინელებაა. სერიოზული ქალი ტიტლიკანა კანკებით დადიოდეს! ველარ წარმომიდგენია, თუ რა სასაცილო იქნება ყოველივე ეს. კიბეზე თავისუფლად ვერ უნდა ავიდეს, აღმართზე დიდის უხერხულობის გრძნობით უნდა იაროს, და ყველაფერი ეს იმის გამო, რომ ახალი მოდის კაბა მეტად მინიმალურად ჰფარავს მუხლების ზედა ნაწილს, რომლის გამოჩენას უახლოესი მოდა ჯერჯერობით ვერ ჰბედავს. ბერეტი კიდევ არაფერი. გამოირკვა, რომ ეს სამკაული იცვლიდა მხოლოდ ადგილმდებარეობას—მარცხენა ყურიდან გადადიოდა მარჯვენაზე.

— ქეთო, ნუ მიზამ, ვაჟკაცურად, მაგ საქმეს. უარი სთქვი მაგ მოდაზე. ჩვენ არ უნდა ვეთანხმებოდეთ მაღამ დე—სტალს, რომლის აზრით ქალის გარეგნობა განსაზღვრავს მის ბედს...

— თქვენ გავიწყდებათ, რომ ახლა მე თითონ ვახლა ვარ მაღამი და მეც შემოძლია ჩემი აზრი გამოვსთქვა!

რამდენიმე დღის შემდეგ სახლში რომ მივედი ქეთო სარკის წინ ტრიალებდა. მის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა.

მაგრამ მთავარი ეს როდი იყო. მე მომხიბვლელად მეჩვენა ქეთოს ტანზე ეს ახალი კოსტუმიც. როგორ შევნიღო! მეჩვენა დიდებულად შეესრულებინა შეკვეთა. ახლა ტალღებივით აღარ ეფინებოდა ტანს აბრეშუმი. სამაგიეროდ იგი დაეჭიმა და სწორედ მუხლებამდე სწვდებოდა ჩამცმელს. ქალს არც ერთი ნაკვთი არ რჩებოდა გამომჟღავნებელი, რაც იწვევდა ზოგიერთ უნებისყოფო მნახველში ერთგვარ ბუნდოვან სურვილებს. წარმოიდგინეთ, ბერეტიც უფრო მოხდენილად ეკიდა მარჯვენა ყურზე. უნდა გამოვტყდე, მე მეტისმეტად მომეწონა ქეთო, თითქოს იგი მეზობლის ცოლი ყოფილიყოს და არა ჩემი. სულ გამოკრეტინებული ვყოფილვარ, როგორ ვატარებდი ყველაზე საყვარელ არსებას სულის შემხუთველი გრძელი კაბით და ბერეტით მარცხენა ყურზე?!

გამოხდა დრო და ჟამი. ყველაფერი გამოიცვალა, გემოვნება გამოიცვალა, მოდა გამოიცვალა... არ გამოცვლილა მხოლოდ ქეთოს შეხედულება იმის შესახებ, რომ ჰოდის ცვალებადობას ქალმა განუხრელად უნდა მისდიოს. და, როცა მოკლე კაბა ისევ გრძელმა შესცვალა, ქეთომ კვლავ გაიხსენა ჩემს ბორბლებში გაქვლეტილი გული.

და ახლაც, როცა გრძელი ისევ მოკლით შეიცვალა, მე კვლავ საშინლად მომეწონს ჩემი ქეთო, თითქოს იგი ჩემი ცოლი არც კი იყოს.

რომ გავაგრძელო ეს მოთხრობა საჭირო იქნება თავიდან გადავსწერო ყოველივე, რაც ზევით მოგახსენეთ.

საბოლოო ჯამში მე ორნაირი ზარალი ვნახე. პირველი ის, რომ ჯიბე მეტად შემომსუბუქდა, მეორეც—ქეთოზე აქეთ-იქიდან იწყეს იერიშების შიტანა და მალე დავკარგე იგი, როგორც ასეთი. მან გადაიტანა თავისი გარდერობი ახალ მეგობართან და „სხვის ბორბლებქვეშ მოყვა“.

ასეთია მოდა, ყმაწვილებო!

გენო ლიაკი

ერთ გეგეგე

ნახ. გ. თოიძისა



— არა გრცხვენია, ჩემო ქმარო, რომ წელს აგარაკზე არ გამგზავნე?
— შენ თითონ არა გრცხვენია მაგ საყვედურისა? რომ მომყვებოდი, ასე არ მითხარი: შენთან ერთად ერთ ტაფაში მოვიხრაკებო?

„გაია იი სალუქვაქა?!”

ქუთაისის რამა-რამა

—რა ქენი ბიჭო, წაი და მთი მშვიდობით?

—აბა რას ვიზამდი?

—ხომ არ დაგიმტროვია მაშინა?

—არ დამიმტროვია, მარა ნასაკირალზე კალამ გადაყინწისთავე... ქვედან მომავალი მაშინა მეტდღენა და შემაჩერა, თვარა გეიჭუქებოდა თელი მგზავრების.

—გაი, დელიუბე საცხა, რაფერი გამოტვინებული ხარ! გადავარდა ვინმე?

—გადავარდა, კი. ვინცხა კალანდაძის ციკაი გადავარდა, პაწაი სახე იტყინა, პაწაი ფეხი ამეიგდო, პაწაი ხელიც მეიტეხა, მგონია.

—კიდომ კაი რომ არ მოკვტა! მადლობა უნდა მითხრას. მე რომ აი მაშინა არ მყავდეს, მიზღემჩი ვერ წვედიოდა ხიდისთავში.

ეს დილაგო მიმდინარეობს სატვირთო მანქანის მფლობელ ვალიკო სალუქვაქაქსა და ერთერთ მის თანაშემწეს შორის, ქ. მახარაძეში.

თბილისიდან ქ. მახარაძემდე ჩასვლა ადვილია: აიღებთ ბილეთს და ჩქარი მატარებელი თქვენს განკარგულებაშია. მაგრამ მახარაძიდან ფეხის გადადგმა არ გიწვრიათ, თუ ვალიკო სალუქვაქაქემ ან სხვა მოხალტურე შოფერმა არ გაიღო მოწყალება: გზატრანსის აქაური განყოფილება არ ერევა ისეთ სახლაფორთო საქმეში, როგორცაა საკუთარი მანქანების გამოყენება მგზავრების გადასაცვანად. გზატრანსელები ფიქრობენ, რომ ვალიკოს უფრო დიდი თავი აქვს და „ის იტირებს“.

ფაქტიურად, სტირიან არა „თუშის ქალები“—სალუქვაქაქეები, არამედ მგზავრები, რომლებიც ურჩხული—მოხალტურეების მსხვერპლნი ხდებიან.

—აბა ჩოხატაური! აბა ხიდისთავი!

—როგორ წამიყვანე? — ხმის კანკალით ეკითხება მგზავრი.

—სამი, ოთხი, ხუთი თუმანი! რაც მეტი იქნება. უკეთესია!..

და ვალიკოს მიაქვს მგზავრზე 3—4 თუმანი, თითო ნაჭერ ბარგზე —თითო თუმანი. ქალაქში თვითონ გაატარებს—მანქანას ქალაქის თავში გამოუცდელ თანაშემწეს გადასცემს, ხოლო თვითონ მიდის დიდებული სახლის სამეთვალყუროდ, რომელსაც ნახალტურევი თანხებით აშენებს. რატომაც არა! ერთ რეისში კაცი ოთხას—ხუთას მანეთს იღებს. რეისი კი რამდენიმეა დღეში! —გაკეთდა რაიფინგანი!—იძახით თქვენ, —ალბათ კარგად დაბეგრული ეყოლება ეს ერთპიროვნული ხალტურისტი.

თქვენც არ მომიკვდეთ, რაიფინგანი ვალიკოს არ აწუხებდეს:

„ჩვენ—ჩვენთვის, ვალიკო და მისი შემოსავალი — თავისთვის!—ჩვენ ავტონომიური ერთეულები ვართ!“ — გაიძახიან ვაიფინგანელები.

ამასობაში სალუქვაქაქე სჭრის და კვრავს, მგზავრებს ძარცვავს, ამტვრევს, „აყინწისთავებს“, სახლებს იშენებს და ყანწებით ლოცავს ყოვლად ძლიერ უფალს ხალტურისტებისას.

მგზავრების—კ. გოგიბერიძის, ქ. გოგიბერიძის,

ქ. კალანდაძის, ე. კუტუბიძის, უ. ქერქაძის და სხვათა დავალებით.

ტერსიტი.

ვალ. მუ—რელი

მალღიერი

აქა აგზავნი სახლთმმართველისა

საქ. სარეწაო კავშირის მიერ გამოშვებული „ბუზების მხოცავი“ უმოქმედოა.

პრაქტიკიდან.

მონტაჟი დონისა



— მადლობა სარეწავშირს, ძლივს გულიანად არ გავძეხნი?

ყური მიგდეთ გეტყვით ამბავს, ახალია, არა ძველი. იყო და არა იყო რა, იყო ერთი სახლთმმართველი.

საპატრონოდ, მოსავლელად, მას ებარა სახლი ათი. თვეში ერთხელ დაივლიდა, თან მიჰქონდა ამანათი.

ესე იგი ბინის ქირის ის უწყებებს არიგებდა, შემდეგ საით გაქრებოდა ველარავინ გაიგებდა.

ვერც ერთ სახლში ვერ ნახავდით, საპოვნელი გახლდათ ძნელად. ბინადარნი დაეძებდნენ, როგორც ყაჩაღს, გაჭრილს ველად.

ერთი ამბობს: ჩვენს ეზოში ერთი კვირა არ გვაქვს წყალი, ჩვენს სახლთმმართველს დავეძებთ და, ვერ მოვკარით ვერსად თვალი.


მეორემ სთქვა: სახლთმმართველი ვერ გავიგე რა კაცია— ჩვენ არც წყალი აღარა გვაქვს, აღარც კანალიზაცია.

მესამემ სთქვა: ვინ გვიშველის? ჩამოგვენგრა თავზე კერი: სახლთმმართველი ყურს არ იბერტყს, სწორედ არის დასაჭერი...“

ამან ეს თქვა, იმან ის თქვა, სახლთმმართველი ყველამ სძრახა. ის პირს უკან სძრახეს, თორემ პირადათ კი ვერვინ ნახა.

ჩვენს თბილისში ბევრი არის სახლთმმართველი ამდაგვარი; „ნიანგში“ არ დაეტევა მათი სახელი და გვარი. ამას სჩივის და ღალადებს ბევრზე ბევრი ბინადარი.

გაიოზ ყირიმელი



დირიჟორი, რომლის გუგუნა ორკესტრი მხოლოდ ერთი თურქული ბარაბანი ღერა.

ამხ. ნიანგო!



ამხ. ნიანგო!

ახალსოფელში (ყვარლის რაიონი) 1935 წელს დაიწყო ახალი სკოლის მშენებლობა. ჩაუყარეს საძირკველი, დაანებეს მშენებლობას თავი და შეუდგნენ ფიქრს იმის შესახებ, თუ რამდენ სართულიანი შენობა აეგოთ. ორ წელიწადს მოუდგნენ ამის შესახებ ფიქრს და გადასწყვიტეს ორსართულიანი აეგოთ. გააგრძელეს მშენებლობა, აიყვანეს კედლები, გადახურეს თავი და... ისევ ფიქრებმა მოიცვა მშენებლები. იფიქრეს და მოიფიქრეს: სამსართულიანი ემჯობინებაო. ახადეს სახურავი სკოლას. გადასწყვიტეს გაეგრძელებინათ მშენებლობა, მაგრამ რატომღაც ვეღარ მოახერხეს. ახლა, ამ სკოლის მშენებლებს რომ ვკითხავთ: ხომ ხედავთ სკოლას მესამე სართული აკლია, რატომ ზომებს არ ლებულობთ, ასე გვიბასუხებენ:

— ზოგს მესამე სართულში აკლია და სკოლას, რომ მესამე სართული აკლდეს, რა დაშავდებაო.

ხომ მართალია, ამხ. ნიანგო, ამ „მშენებლების“ პასუხი?

მომავალი მოსწავლე.

ამხ. ნიანგო!

სოფ. ჯოღოჯიანის (ზუგდიდის რაიონი) კოლმეურნეობას ანაკლიის გზის პირას აქვს ჩაის პლანტაციის ფართობი. ეს ფართობი შემოღობილი ცუდად არის და შიგ პირუტყვები დათარეშობენ.

ჩვენ, პატივცემულო ნიანგო, მართალია ძალიან კარგად ვიცით, რომ ჩაის ხორცი ჯობიან და ჩვენი კოლმეურნეობის გამგეობისა არ იყოს—სრულიადაც არ გვინდა ამ პირუტყვებს ვაწყვინოთ, მაგრამ ერთი რამ არის:

ამ პირუტყვთა შორის გამოერია ერთი, ზედმიწევნით ავზნიანი თხა. მოზრდილი რქები აქვს, საშინელი რჩოლა იცის და გვეწინიან, კოლმეურნეობის თავჯდომარე, რომელსაც ძალიან უყვარს პლანტაციაში სიარული და ფოთლის კრეფა, არ შეისწროს ამ ფართობის საზღვრებში და არ დაამარცხოს.

თხა თხაა, მაგრამ ხომ იცით, თუნდ არც გაბრაზდეს ცხვარზე მეტს მაინც იზამს.

თხის პატრონის მეგობარი.

ამხ. ნიანგო!

ამხ. ნიანგო! თბილისში, დიდუბეში, საკმაო ხანია რაც აბანოს მშენებლობა დაიწყო. ამის შესახებ დიდუბელებმა 1939 წლის მარტში გაზეთში ამოვიკითხეთ: „ბრძოლის ქუჩაზე

უმოკლეს დროში გაიხსნება ახალი აბანო-სამრეცხაო“.

ამოვიკითხეთ და გავგეხარდა, მაგრამ ნაადრევად გამოდგა სინარული: გავიდა ერთი წელიწადი, აბანოს ამუშავებას საშველი არ დაადგა. გაზეთმა კი კვლავ გვამცნო, რომ: „ბრძოლის ქუჩაზე დამთავრდა ახალი აბანო-სამრეცხაოს მშენებლობა. აბანო მუშაობას დაიწყებს მარტის ბოლო რიცხვებში“. გაზეთის ცნობა კვლავ ცნობად დარჩა. აბანოს კი ჯერაც არ დაუწყვია მუშაობა.

საგანგაშო თუმცა არაფერია ამხ. ნიანგო, მართალია ტანის დაბანასა და გაწმენდას სხვაგანაც ვახერხებთ, მაგრამ მარტო ტანი რა არის, თუ ზოგიერთი აბანოს მშენებელი ორგანიზაცია გასაწმენდი დარჩება?

ყოფილი მექისე.

ამხ. ნიანგო!

თბილისში, 26 კომისართა რაიონის განაპირა უბანში არსებობს აგრედ წოდებული კიბაღიჩის ხევი, რომელიც რკინიგზის გადაღმა მდებარეობს. ეს ხევი მარტო ხევის არ წარმოადგენს: აქეთ-იქით სახლებია გაშენებული, რომელთაც შესახედაობით არაუშავსრა. აი ამ სახლებზე ამავე რაიონის სახანძრო დაცვის განყოფილებამ იერიში მიიტანა და მცხოვრებლებს განუცხადა, რომ სახლებს არ შეიძლება ჰქონდესთ ხის მოაჯირი ან ხისგანვე გაკეთებული უშუაბანდი. ხეს, თურმე, ცეცხლი უჩნდება და თუ არ ჩააქრე — იწვის. ეს შესანიშნავი აღმოჩენაა ამხ. ნიანგო, მაგრამ იმის შესახებ ხომ არაფერს გვეტყვიან ამხანაგები სახანძრო დაცვიდან, რომ ამ ქუჩის ერთ-ერთ მისავალს საკმაო ხანია გზა დანგრეული აქვს. ზედ მანქანის გატარება შეუძლებელია და ამ ქუჩაზე ხეს კი რა წყალსაც რომ გაუჩნდეს ცეცხლი — სახანძრო რაზმი მაინც ვერაფერს უშველის. ან იქნებ 26 კომისართა რაისაბჭომ იცოდეს რამე ამის შესახებ?

ამუბნელი გიგლა.

ამხ. ნიანგო!

ასპინძაში 1934 წლიდან 1939 წლის მაისამდე შენდებოდა აბანო. ველირსეთ დამთავრებას როგორც იყო და გაუშვეს ექსპლოატაციაში. შენობა თუმცა პატარაა, მაგრამ შიგნით მოწყობილობა კარგია. მხოლოდ უბედურება ერთი რამაა: წყალი ხშირად წყდება და მობანავენი გასაბნულები ბრუნდებიან სახლში.

რაც მე მახსოვს, ამ აბანომ, სულ, თავის არსებობის ცხრა თვეში გამოიცივლა ოთხი გამგე, სამი მოლარე და ორი ცეცხლფარეში, მაგრამ აბანოს მაინც არაფერი ეშველა. ხომ არაფერი ეშველება ამხ. ნიანგო ჩვენს აბანოს, — რომ ასპინძის რაიაღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილებაში გაგვემელიქ მურადოვმა საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება გამოცვალოს?

ასპინძელი.

ბორჯომის საღვურს უკან წვიმის შემდეგ ვეებერთელა ჭაობი ჩნდება.



ი ბ ნ ო

სადგურის უფროსი: — სცდები, ეგ ის ბაყაყია, გუშინ რომ ჩვენს მტვირთავს მიანტა...

(მუხურა, ტყეზის რაიონი)

აქ ფურნა მშენიერი,
შენობა აქვს მეტად კობტა.
მსურს გაიმბოთ დაწვრილებით,
ამას წინათ რაც აქ მოხდა:

შიგ შევედი, მაგრამ თურმე
გყოფილიყავ გარედ - სჯობდა,
ჰქონდა კარი მობრეცილი
შიგ ნიაფი ნავარდობდა.

თხრილში ფეხი ჩამივარდა
და კინალამ გადავბრუნდი.
ფქვილის ტომრებს დავეჯახე
დავაფეთე თავგთა გუნდი.

იქვე ჯოგად დადიოდნენ
ვირთაგვების დიდი ფარა,
მათ სდევნიდა გამგე კეტით,
ტრიალებდა როგორც ჯარა...

გიგლა.



— ეს წიგნი ზედმიწევნით ბუნებრივი წიგნია.
— რა მხრივ?
— შიგ სამი მეოთხედი წყალია.

ჩ ვ ე ნ ი უ ო ს ვ ა

სანქას (სამტრედია) გვატყობინებთ: „სამტრედიის ნინოშვილის-
უბნის „ბრძოლის“ სახელობის კოლმეურნეობის საყანეზე ჰა დან
გრა, მაგრამ კოლმეურნეობის თავმჯდომარე მის შეკეთებისათვის
თავს არ იწუნებს, რადგან წყალი არ უყვარსო“.

ნუ აღელდებით, მოთმინება იქონიეთ: თქვენი კოლმეურნეობის
თავმჯდომარე, შესაძლებელია, სასმელად, სხვა, უკეთეს ფასიან სით-
ხეს იყენებს, მაგრამ ალბათ პირის დაბანაც დასჭირდება.

ხუთლის (გალი) გვატყობინებთ:
„ამ ჩვენი კლუბის ამბავსა,
ნიანგო, რაღა თქმა უნდა:
ისვენებს ზამთარ-ზაფხულში,
სწორედ კარგი დრო დაუდგა.
იცვლება რეჟისორები
თან მიჰყვებიან გამგენი,
მსახიობებიც მათხავით
მაგრამ ვინ უწყის რამდენი!“

„გამგეებისა და მსახიობების თანგაყოლას“ სიამოვნებით დაგი-
ჯერებთ. მაგრამ რაც შეეხება: „იცვლება რეჟისორებიო“, რას გვერ-
ჩით, რატომ გვატყუებთ: თქვენს კლუბში რეჟისორები კი არა, და-
ლაქები იცვლებიან.

ნოკის: (ცხაკაია) გვწერთ: „კავშირგაბმულობის რაიკანტორა
აღრესატებს კორესპოდენტებს რამდენიმე დღეს უგვიანებს, დებე-

შების დამუშავებაში ადგილი აქვს წუნის შემთხვევებსო“. და
გვეკითხებით: „საინტერესოა რას ფიქრობენ კავშირგაბმულობის
რაიკანტორის მესვეურებიო“.

რაიკანტორის მესვეურები რომ არაფერს ფიქრობენ, ეს თქვენს
მიერ მოყვანილ ფაქტებიდანაც კარგად სჩანს, მაგრამ საკითხავი ეს
არის: რატომ ჰბაძავენ რაიკანტორის მესვეურებს საქართველოს კავ-
შირგაბმულობის კომისარიატის ზოგიერთი მუშაკები?

ციცინათელას: (სამტრედია) გვწერთ:

„სამტრედიის რკინიგზის სადგურის მოღარე გიორგი ხალტური-
შვილი სალაროს მხოლოდ მატარებლის შემოსვლის დროს ადებს,
მგზავრები ბილეთების ადებს ჩქარობენ, ხურდას სტოვებენ და ამ
ხერხით, მოღარე, ყოველდღე ორას მანეთს აკეთებსო“.

რატომ გვატყუილებთ, თქვენი კაცო, ყოველ დღე ორას მანეთს
როგორ გააკეთებს! ჩვენ ვიცით, მაგალითად, რომ გიორგი, ამასწი-
ნად სამ დღეს, ზედიზედ შვიდ-შვიდ თუმანზე მეტს ვერ გამოვიდა.

ირაკლის (აქვე): იწერებით:

„თელეფონი — ავტომატი
გვქონდა დადგმული სახუნტში.
ძალზე გაჯიუტებული
გვიპასუხებდა ერთს ხუთში.
ახლა იგი აღარა გვაქვს,
ჩამოიღეს და წაიღეს“...

შარიანი კაცი ყოფილხართ: სიკეთე უქნიათ და მაინც ემდურებით?!



„ქარი ლაქარს იყო, სოლი — აგავს უყვებოდა“

- გაიგეთ, ბიჭებო, ამ ჩვენს წყალქვეშა ნავს მტრის ხუთმეტი გემი ჩაუძირავს!..
- ვინ ვითხრა?!
- ჩვენი, ლონდონის გაზეთები სწერენ.